

ნინო ლაპიაშვილი

ევროპისმცოდნეობის სწავლება თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტში: მიღწევები და გამოწვევები

სტატიის მოკლე მიმოხილვა

სტატიის მიზანია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერფაკულტეტური ევროპული კვლევების ინსტიტუტის გამოცდილებაზე დაყრდნობით წვლილი შეიტანოს ევროპისმცოდნეობის სწავლების შესახებ მსოფლიოს სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მეცნიერებსა და პედაგოგებს შორის მიმდინარე სამეცნიერო დისკურსში (იხ. Radaelli; Gijsselaers, Dailey-Hebert and Niculescu; Baroncelli, Fonti and Stevancebic; Fonti and Stevancebic; Baroncelli; Jones and Bursens; Maurer and Neuhold).¹ ათი წლის წინ ევროკავშირის ეგიდითა და მხარდაჭერით გაერთიანების არანე-ვრ ქვეყანაში - საქართველოში დაარსებულმა ინსტიტუტმა, რომელიც წარმატებულად ახორციელებს ინგლისურენოვან ინტერდისციპლინურ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს, დააგროვა მეტად ღირებული და ამავდროულად ადგილობრივი განსაკუთრებული გამოდინარე ერთგვარად ყვე-ლასგან გამორჩეული, თეორიულთან ერთად უნიკალური პრაქტიკული ცოდნა ევროპისმცოდნეობის სწავლების სფეროში. აღნიშნული გამოცდილება თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი ერთი მხრივ, ევრო-პისმცოდნეობის სწავლების მეორე და მესამე საფეხურების შინაარსობრივი და ტექნიკურ ადმინისტრირებასთან დაკავშირებული დეტალების ზედმიწევნითი განხილვის, ხოლო მეორეს მხრივ დინამიკაში სწავ-ვლა-სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვის პროცესისა და ზოგიერთი ემპირიული შედეგების დემონსტრირების მეშვეობით.

სწავლა-სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა ევროპული კვლევების ინსტიტუტის მიერ საკუთარი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ხარისხის მართვისა და მუდმივი სრულყოფის მიზნების ფარგლებში მოხდა, რაც ტექნიკურად ევროკავშირის მხარდაჭერილი ტემპუსის პროექტის (INOTLES) ფარ-გლებში გახდა შესაძლებელი. გარდა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების, სიმულაციების, ელექტ-რონული და შერეული სწავლების მეთოდების დანერგვისა, პროექტის განხორციელების განმავლობაში მოხდა ევროპისმცოდნეობის სწავლების სფეროში ევროპის სამი წამყვანი უნივერსიტეტის (დიდი ბრიტა-ნეთის სურრეის უნივერსიტეტი, ბელგიის ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტი და ნიდერლანდების მასტრიხტის უნივერსიტეტი) საუკეთესო გამოცდილებების საგანგებოდ შემუშავებული კითხვარების მეშვეობით გამოვლენა. სტატიაში ასახულია აღნიშნული კვლევის შედეგად გამოკვეთილი შედეგების თსუ-ის ლოკალური კონტექსტიდან გამომდინარე განსაკუთრებით საგულისხმო ნაწილები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ევროპული კვლევების ინსტიტუტის პროგრამების შინაარსობრივი გა-ნახლებისა და ადმინისტრირების პროცესის სრულყოფის თვალსაზრისით.

კერძოდ, თემატურად კითხვარი ოთხ ნაწილად იყო დაყოფილი, საიდანაც პირველი მიზნად ისახა-ვდა პროექტის მონაწილე დასავლეთ ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ევროპის-მცოდნეობის პროგრამების და მათში მონაწილე აკადემიური პერსონალის კომპოზიციის განსაზღვრას, მათთვის ხელმისაწვდომი რესურსების (მეორე ნაწილი), სტუდენტებთან ურთიერთობის რეგულაციების და აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამ-

¹ Radaeli, Claudio M., *Europeanization: The Challenge of Establishing Causality in European Studies: Establishing Causality in Europeanization* (Exadakylos, Theofanis and Radaelli, Claudio M. Eds.), Palgrave Macmillan, 2012. Niculescu, Alexandra C., *Shaping the New Professional for the New Professions*; Baroncelli, Stefania, Fonti, Fabio and Stevancevic, Gordana, *Mapping Innovative Teaching Methods and Tools in European Studies: Results from a Comprehensive Study*; Fonti, Fabio and Stevancevic, Gordana, *Innovativeness in Teaching European Studies: An Empirical Investigation*; Baroncelli, Stefania, *Linguistic Pluralism in European Studies*; Jones, Rebeca and Bursens, Peter, *Assessing EU Simulations: Evidence from the Trans-Atlantic EuroSim*; Maurer, Heidi and Neuhold, Christine, *Problem-Based Learning in European Studies in Teaching and Learning the European Union: traditional and Innovative Methods* (Baroncelli, Stefania, Farneti, Roberto, Horga, Ioan and Vanhoonacker, Sophie, Eds.), Springer, 2014.

შრომლობით მოსალოდნელი შედეგების გამოვლენას (მე-3 ნაწილი). მიუხედავად იმისა, რომ წარმატების მზა ფორმულა ევროპისმცოდნეობის სწავლებაში არ არსებობს, კვლევამ თსუ-ის შიგნით საჭიროებების იდენტიფიცირებას და ეფექტური პრაქტიკის გადმონერგვასაც შეუწყო ხელი, რაც დადებითად აისახა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების თვითშეფასების შედეგებში. მაგალითისთვის საინტერესოა აღინიშნოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის სტრუქტურირებული მოდელის დანერგვა, აკადემიური პერსონალის მიერ ხელმძღვანელობაზე რაოდენობრივი შეზღუდვის დანესება, გარკვეული კვლევითი კომპონენტების კურიკულუმში შემოტანა-დანერგვა, პროგრამების ადმინისტრირების ავტონომიურობის ხარისხის გაზრდა, კვლევითი მიზნით მობილობის წახალისება და ხელშეწყობა, და სხვ.

სტატიის მესამე ნაწილში საკანონმდებლო და ტექნიკური ხასიათის გამოწვევებია განხილული, რომლებიც ერთგვარ წინაღობას ქმნიან ევროპისმცოდნეობაში ინოვაციური სწავლა-სწავლების მეთოდების სრულყოფილად დანერგვის პროცესში. გასული დეკადის შედეგები ცხადყოფს, რომ თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის როლი უმნიშვნელოვანესია არა მხოლოდ უმაღლესი განათლების მეშვეობით საქართველოს ევროპასთან დაახლოების კონტექსტში, არამედ მისი განვითარების დინამიკისა და მასშტაბის გათვალისწინებით, სრულიად უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის პროგრესისა და უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისითაც. ბოლონის პროცესის შედეგების სწრაფი გადმონერგვის, ინოვაციების დამკვიდრებისა და უცხოელი მკვლევრებისა თუ სტუდენტების უწყვეტი მასპინძლობის გამოცდილებით, ინსტიტუტი ერთ-ერთი მონინავა რეგიონში. თუმცა, მეორეს მხრივ ეს მიღწევები გადაწონილია ადგილობრივ სტუდენტობის კანდიდატთა შორის ინტერდისციპლინური სწავლების შინაარსის ბუნდოვან გაგებასთან დაკავშირებული სირთულეებით, რაც მეტწილად ორგანიზებული ხასიათის ინფორმაციის გავრცელების არ არსებობის პრობლემითაა გამოწვეული. აქვე, ყურადსაღებია აკადემიური პერსონალის მეტწილად ფინანსური პრობლემებით განპირობებული გადატვირთული სამუშაო გრაფიკი, რაც ევროპისმცოდნეობის სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგისადმი მძაფრ ინტერესს ხშირად ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობად აქცევს. ამ კონტექსტში იკვეთება გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების საჭიროება, ისევე როგორც უმაღლეს საკანონმდებლო დანერგვებულაში აკადემიური წარჩინების მიღწევის მიზნიდან გამომდინარე საკითხების ცენტრალიზებულად, ე.წ. ზემოდან ქვემოთ წესით მოგვარების აუცილებლობა, რაც უდაოდ გაზრდიდა დადებითი ეფექტების და უკვე მიღწეული შედეგების მაქსიმიზაციის ალბათობას.